

ღია წერილი

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს
ბ-ნ გიგა ბოკერიას

ბატონო გიგა,

პირველ რიგში გვინდა მოგახსენოთ ჩვენი ორგანიზაციის შესახებ. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ არის არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია. ინსტიტუტის საქმიანობა მიმართულია საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაზე, ასევე, სამთავრობო ვებ-რესურსების განვითარებით ხელისუფლების ღიაობისა და გამჭვირვალობის და ზოგადად, საქართველოში კარგი მმართველობის სისტემის გაუმჯობესებაზე.

გვინდა ავლიშნოთ, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებს ეროვნული უშიშროების საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდი, რის გამოც საქართველოს მოსახლეობას და დაინტერესებულ საზოგადოებას არ აქვს საშუალება თვალყურს ადევნოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობას. იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ორგანოს სახელმწიფოს სტაბილურობისა და მართლწესრიგის საკითხებში, ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული პოლიტიკის, სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის და უსაფრთხოების სტრატეგიის დაგეგმვა-ორგანიზებაში, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ მიზანშეწონილად მიაჩნია მოგმართოთ თხოვნით, რომ მიიღოთ გადაწყვეტილება ეროვნული უშიშროების საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნის დაჩქარებისა და მისი ინტერნეტ სივრცეში განთავსების თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება უპირველეს ყოვლისა ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის მიმართ საბჭოს ანგარიშვალდებულების გაზრდას, უფრო გამჭვირვალეს გახდის მის საქმიანობას იმ ნაწილში, რომელიც არ ექვემდებარება გასაიდუმლოებას, რაც, აგრეთვე, იქნება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოში ელექტრონული გამჭვირვალობის სფეროს განვითარებასა და ზოგადად საქართველოში საჯარო ინფორმაციის ღიაობის ხარისხის ამაღლების მიმართულებით.

მისასალმებელი იქნება, თუ უშიშროების საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაში ჩართულნი იქნებიან მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების დაინტერესებული წარმომადგენლები, რაც შესაძლებლობას მისცემს უშიშროების საბჭოს შექმნას თავის საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობაზე ორიენტირებული ინტერნეტ საინფორმაციო რესურსი.

პატივისცემით,
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

15. 03. 2011